საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY

KA020148696088717

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ნინოშვილი ქუჩა N23. ტელ.:+995 422 27 49 25/26
23 Ninoshvili Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 5/CIRC/MTA **10 / მარტი / 2017 წ.**

საქართველოში მოქმედ ყველა ნავსადგურს
საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში გემების სააგენტო
მომსახურების განმახორციელებელ ყველა პირს
საკრუინგო კომპანიებს
ყველა დაინტერესებულ პირს

გაცნობებთ, რომ გაეროში მიკრონეზიის ფედერაციული სახელმწიფოს მუდმივმა წარმომადგენლობამ წარადგინა დიპლომატიური ნოტა N002-2017, რომლითაც იტყობინება, რომ მიკრონეზიის ფედერაციული სახელმწიფოს მთავრობა არ აწარმოებს მიკრონეზიის სახელით გემების სახელმწიფო რეგსიტრაციას და მეზღვაურების სერტიფიცირებას. ასევე, ნოტაში მითითებული ინფორმაციით მსოფლიოს გარშემო ყალბი სერტიფიკატებით დაცურავს დაახლოებით 300-მდე გემი, ასევე 1000 - ზე მეტ მეზღვაურზე გაცემულია ყალბი სერტიფიკატები.

მოგმართავთ თხოვნით, მიკრონეზიის ფედერაციული სახელმწიფოს დროშით მცურავი ნებისმიერი გემის, ასევე მეზღვაურების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოთ საქართველოს სამართლამდამცავ ორგანოებს.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შესაბამისი ორგანოები არ დაუშვებენ საქართველოს ნავსადგურებში მიკრონეზიის ფედერაციული სახელმწიფოს ყალბი დოკუმენტებით მცურავი გემების მოძრაობას, ასევე მეზღვაურთა ყალბი სერტიფიკატის აღმოჩენის შემთხვევაში, პირთა მიმართ გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძებები.

მოგიწოდებთ გამოიჩინოთ სიფრთხილე გემების დოკუმენტაციის შესწავლისას, რათა თავიდან აირიდოთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

დანართი: „5“ ფურცელი.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

მამუკა ახალაძე